



## განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით  
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების  
შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ  
წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნა

დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები, დოქტორანტურა

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

23.01.2023



## დასკვნის მომზადების მიზანი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით გათვალისწინებული რეკომენდაციების ან/და რჩევების საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესრულების შეფასება.

## ანგარიშის შეფასების პრინციპები

წარმოდგენილი ანგარიში უნდა შეფასდეს შემდეგი პრინციპების დაცვით

- ანგარიშის შევსების სისწორისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის შეფასება
- აკრედიტაციის პროცესის შედეგად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გამოკვეთილი და შესრულებული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესრულებისთვის შერჩეული მეთოდების/მიდგომებისა და შედეგების შეფასება
- რეკომენდაცი(ებ)ისა ან/და რჩევ(ებ)ის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების შეფასება
- ანგარიშის შესწავლის შედეგების ფორმირება

## ექსპერტი

სახელი შალვა

გვარი კელეპტრიშვილი



### ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

|  |  |
|--|--|
| დაწესებულების სახელწოდება<br>ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის<br>მიითითებით | საჯარო სამართლის იურიდიული პირი<br>ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| დაწესებულების სახე   | უნივერსიტეტი   |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი   | 204861970  |

### ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

|    |   |   |
|----|---|---|
| 1  | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება <sup>1</sup>   | დედამიწის<br>შემსწავლელი<br>მეცნიერებები  |
| 2  | უმაღლესი განათლების საფეხური  | დოქტორანტურა  |
| 3  | კვალიფიკაციის დონე <sup>2</sup>   | მერვე   |
| 4  | კვალიფიკაციის დასახელება  | დედამიწის<br>შემსწავლელი<br>მეცნიერებების<br>დოქტორი  |
| 5  | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/ საგნების/<br>საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მიითითებით <sup>3</sup> | -   |
| 6  | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) <sup>4</sup>  | 0532 Earth<br>Sciences<br>დედამიწის<br>შემსწავლელი<br>მეცნიერებები                                |
| 7  | სწავლების ენა   | ქართული   |
| 8  | ECTS კრედიტების რაოდენობა   | 48  |
| 9  | განხორციელების ადგილი <sup>5</sup>  | საქართველო, 0162,<br>თბილისი, გ. წერეთლის<br>N3<br>ილიას სახელმწიფო<br>უნივერსიტეტის G<br>კორპუსი |
| 10 | საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსი-აკრედიტაცია შესაბამისი<br>საბჭოს ბოლო გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი                | აკრედიტებული;<br>2021 წლის 17 დეკემბრის<br>№ 1383966<br>გადაწყვეტილება                            |
| 11 | გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი   | 2021 წლის 17 დეკემბერი  |

<sup>1</sup>დასახელება შინაარსობრივად შეესაბამება დეტალურ სწავლის სფეროს

<sup>2</sup>ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

<sup>3</sup>მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

<sup>4</sup>განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორი ((ISCED – F – 2013)

<sup>5</sup>ქვეყანა, საფოსტო ინდექსი, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, ქუჩა, ქუჩის ნომერი



|    |  |                        |
|----|--|------------------------|
| 12 | საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა, თარიღი | 2022 წლის 17 დეკემბერი |
| 13 | აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი  | 2027 წლის 1 ივლისი     |

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შეფასება  
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით

| სტანდარტები  | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|--|------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | ?                            |                                       |   |                                     |
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა     |                              | ?                                     |   |                                     |
| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა                                   | ?                            |                                       |   |                                     |
| 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა   | ?                            |                                       |   |                                     |
| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები                                      | ?                            |                                       |   |                                     |



## შესასრულებელი რეკომენდაციები<sup>6</sup>

1. დაკორექტირდეს სამიზნე ნიშნულების რუკა;
2. რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგები გაიწეროს აწმყო დროში აქტიური ზმნების გამოყენებით მათი გაზომვადობის მიზნით;
3. გასწორდეს პროგრამაზე დაშვების წინაპირობა ინჟინერიის სფეროების მიმართულებით;
4. შესაბამისობაში მოვიდეს ზეპირი გამოცდის შეფასება პროგრამის კურიკულუმში და სადოქტორო პროგრამაზე მიღების პროცედურებსა და შეფასების სისტემაში;
5. საგანმანათლებლო პროგრამის ცხრილში დაკორექტირდეს სადოქტორო ნაშრომის წარდგენის ვადები;
6. სასწავლო კურსებში შედეგები ისე უნდა გაიწეროს, რომ შესაძლებელი იყოს აღწერილ მოქმედებაზე დაკვირვება, გაზომვა;
7. რეკომენდებულია, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარი №3 ბრძანების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის და 1 მუხლის „მ“ პუნქტის თანახმად, ყველა სასწავლო კურსის შეფასების მეთოდი/მეთოდები მოიცავდეს გაზომვად კრიტერიუმებსა და დეტალურ რუბრიკებს, რათა სტუდენტის შეფასების პროცესში მაქსიმალურად იყოს დაცული ობიექტურობა, სანდოობა, ვალიდურობა და გამჭვირვალობა;
8. რეკომენდებულია ამოქმედდეს შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმები სწავლის შედეგების მიღწევადობის უზრუნველსაყოფად.

## საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია<sup>7</sup>

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამას „დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები“ აკრედიტაცია მიენიჭა 2021 წლის 17 დეკემბერს N 1383966 გადაწყვეტილების შესაბამისად და გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად განესაზღვრათ 1-წლიანი ვადა, 2022 წლის 17 დეკემბრამდე. დაწესებულებამ დადგინდა ვადებში წარმოადგინა შესაბამისი ანგარიში, სადაც აღწერილია 8 რეკომენდაციის საკითხზე გატარებული ღონისძიებები.

რეკომენდაციების შესრულების მიზნით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც შედგებოდა 6

წევრისგან:

- არჩილ მაღალაშვილი - პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი
- ზურაბ ჯავახიშვილი - პროფესორი

<sup>6</sup>საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების რაოდენობის გათვალისწინებით

<sup>7</sup>საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.



- მიხეილ ელაშვილი - პროფესორი
- ნინო ჟვანია - უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
- თამარ ბარბაქაძე - ასოცირებული პროფესორი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი,
- მარიკა ნინიძე - ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი

პროგრამის სამუშაო ჯგუფმა განიხილა აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციები, დაგეგმა შესაბამისი პროცესები რეკომენდაციების შესასრულებლად. მოხდა პროგრამის შესაბამისი დოკუმენტების განახლება და ფაკულტეტის საბჭოზე შეტანილი ცვლილებების განხილვა/დამტკიცება. შესაბამისი ცვლილებები მოცემულია „რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ“ ცხრილის აღწერით ნაწილში.

### რჩევ(ებ)ი<sup>8</sup>

1. სასურველია გაფარდოვდეს შრომის ბაზრის კვლევის არეალი;
2. გასწორდეს ხარვეზი კურიკულუმის ცხრილში და დაემატოს სასწავლო კურსი „ასისტირება“;
3. სასურველია დაკორექტირდეს სწავლის შედეგების რუკა, სადაც კომპონენტების ჩამონათვალშია სამეცნიერო პუბლიკაციები და TSDC ტრენინგი, რომლებიც არაა კურიკულუმის შემადგენელი ნაწილები;
4. სასურველია კომპონენტისათვის „სამეცნიერო წერა დოქტორანტებისათვის“ დასკვნითი შეფასება ჩატარდეს კომისიური წესით;
5. მკაფიოდ გამოიკვეთოს პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი დაფინანსების წყაროები.

### საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რჩევების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია<sup>9</sup>

რჩევების გაზიარებაზე დაწესებულებას არ წარმოუდგენია ინფორმაცია.

### დამატებითი ინფორმაცია<sup>10</sup>

-----

-----

-----

<sup>8</sup>საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით (რჩევების გათვალისწინება არ არის სავალდებულო)

<sup>9</sup>საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

<sup>10</sup>საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილებით, საჭიროების შემთხვევაში



რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ისგათვალისწინების შესახებ<sup>11</sup>

|                                      |  |
|--------------------------------------|--|
| სტანდარტის დასახელება <sup>12</sup>  | 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა   |
| კომპონენტის დასახელება <sup>13</sup> | 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები   |
| რეკომენდაცია I <sup>14</sup>         | დაკორექტირდეს სამიზნე ნიშნულების რუკა  |
| შეფასება                             | რეკომენდაცია შესრულებულია.<br>უმადლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით და მტკიცებულების საფუძველზე ირკვევა, რომ უნივერსიტეტმა გაითვალისწინა აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაცია სამიზნე ნიშნულების რუკის დაკორექტირების შესახებ. პროგრამის აკრედიტაციაზე წარდგენისას მე-7 სწავლის შედეგისათვის „ახდენს ცოდნის ტრანსფერს აუდიტორიაში“, კომპონენტად შეჩეული იყო „TSDC ტრენინგი“, რომელიც არაა კურიკულუმის შემადგენლობაში. საჭირო იყო მისი შეცვლა სასწავლო კურსით „ასისტირება“, რომლის ერთ-ერთი კომპონენტია სწავლების პროცესის ასისტირება (სტუდენტის შეფასება, კურსის მასალის მომზადება, სემინარების, პრაქტიკული სამუშაოს, ლაბორატორიული სამუშაოს და ა. შ. ჩატარება).<br>რეკომენდაციის შესაბამისად სამიზნე ნიშნულების რუკაში მე-7 სწავლის შედეგისათვის „TSDC ტრენინგი“ ჩანაცვლდა სასწავლო კომპონენტით „ასისტირება“ და სამიზნე ნიშნული დადგინდა აღნიშნული სასწავლო კომპონენტის შესაბამისად. |
| რჩევა <sup>15I</sup>                 | -  |
| შეფასება                             | -  |
| მტკიცებულებ(ებ)ა                     | <ul style="list-style-type: none"> <li>სასწავლო პროგრამის სამიზნე ნიშნულების რუკა (დანართი 1).</li> </ul>  |

<sup>11</sup>საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების ან/და რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით

<sup>12</sup>სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

<sup>13</sup>კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

<sup>14</sup>საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

<sup>15</sup>საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)



|                               |  |
|-------------------------------|--|
| სტანდარტის დასახელება         | 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა   |
| კომპონენტის დასახელება        | 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი  |
| რეკომენდაცია II <sup>16</sup> | რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგები გაიწეროს აწმყო დროში აქტიური ზმნების გამოყენებით მათი გაზომვადობის მიზნით.   |
| შეფასება                      | რეკომენდაცია შესრულებულია.<br>უმალეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით და მტკიცებულებების საფუძველზე ირკვევა, რომ უნივერსიტეტმა გაითვალისწინა აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაცია პროგრამის სწავლის შედეგების გაწერის შესახებ აწმყო დროში აქტიური ზმნების გამოყენებით მათი გაზომვადობის მიზნით. ეს შეეხო პირველ სწავლის შედეგს, რომელიც შემდეგნაირად იყო ფორმულირებული - აქვს დედამიწის შემსწავლე-ლი მეცნიერებების კვლევის შერჩეულ სფეროში აქტუალური პრობლემის/ საკითხის შესახებ უახლესი ცოდნა, რომლის კრიტიკული და სისტემური ანალიზის საფუძველზე ადგენს ახალი ცოდნის შექმნის საჭიროებას და ამ ცოდნის გენერირების მეთოდოლოგიას;<br>რეკომენდაციის შესაბამისად, მოხდა მისი გადახედვა და ახალი რედაქციით შემდეგნაირადაა გაწერილი - დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების კვლევის შერჩეულ სფეროში აქტუალური პრობლემის/საკითხის შესახებ უახლესი ცოდნის კრიტიკული და სისტემური ანალიზის საფუძველზე ადგენს ახალი ცოდნის შექმნის საჭიროებას და ამ ცოდნის გენერირების მეთოდოლოგიას. |
| რჩევა <sup>17</sup> II        | -  |
| შეფასება                      | -  |
| მტკიცებულებ(ებ)ა              | • ES PhD კურიკულუმი (დანართი 2);   |

<sup>16</sup>საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

<sup>17</sup>საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)





|                                |   |
|--------------------------------|---|
| სტანდარტის დასახელება          | 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა  |
| კომპონენტის დასახელება         | 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები  |
| რეკომენდაცია III <sup>18</sup> | გასწორდეს პროგრამაზე დაშვების წინაპირობა ინჟინერიის სფეროების მიმართულებით.   |
| შეფასება                       | რეკომენდაცია შესრულებულია.<br>უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით და მტკიცებულებების საფუძველზე ირკვევა, რომ უნივერსიტეტმა გაითვალისწინა აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაცია პროგრამაზე დაშვების წინაპირობის გასწორების შესახებ ინჟინერიის სფეროს მიმართულებით, სადაც ჩამონათვალში ნახსენები იყო ინჟინერია და საინჟინრო საქმე, რომელიც წარმოადგენს ვიწრო სფეროს და მოიცავს ისეთ დეტალურ სფეროებს (ქიმიური ინჟინერია და პროცესები, ელექტრობა და ენერჯია, ელექტრონიკა დაავტომატიზაცია, მექანიკა და ლითონის საქმე, ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებები, გემები და საჰაერო ხომალდები) რომელთანაც პროგრამას არა აქვს შეხება. რეკომენდაციის შესაბამისად, დაკორექტირდა სასწავლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობის ჩანაწერი, კერძოდ ინჟინერიის სფეროების ნაწილში და ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით - „ინჟინერიის ისეთ დეტალურ სფეროებში როგორცაა, გარემოსდაცვის ტექნოლოგია, სამთო საქმე და მოპოვება, ინჟინერია და საინჟინრო საქმე - არაკლასიფიცირებული (საინჟინრო ფიზიკა, საინჟინრო გეოდეზია და გეოინფორმატიკა). |
| რჩევა <sup>19</sup> III        | -   |
| შეფასება                       | -   |
| მტკიცებულებ(ებ)ი <sup>ა</sup>  | <ul style="list-style-type: none"> <li>• ES PhD კურიკულუმი (დანართი 2);</li> <li>• საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების დოკუმენტი (დანართი 3);</li> </ul>   |

<sup>18</sup>საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

<sup>19</sup>საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)



|                               |  |
|-------------------------------|--|
| სტანდარტის დასახელება         | 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა   |
| კომპონენტის დასახელება        | 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები   |
| რეკომენდაცია IV <sup>20</sup> | შესაბამისობაში მოვიდეს ზეპირი გამოცდის შეფასება პროგრამის კურიკულუმში და სადოქტორო პროგრამაზე მიღების პროცედურებსა და შეფასების სისტემაში.   |
| შეფასება                      | რეკომენდაცია შესრულებულია. უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით და მტკიცებულებების საფუძველზე ირკვევა, რომ უნივერსიტეტმა გაითვალისწინა აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაცია ზეპირი გამოცდის შესაბამისობაში მოყვანის შესახებ პროგრამის კურიკულუმსა და სადოქტორო პროგრამაზე მიღების პროცედურებსა და შეფასების სისტემაში. კურიკულუმში ის მოიცავდა დარგობრივი ცოდნის შემოწმებას, კვლევითი განაცხადის პრეზენტაციას და დისკუსიას, ხოლო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების დოკუმენტის № 4 დანართში სადოქტორო პროგრამის კანდიდატის ზეპირი გამოცდა ფასდებოდა ორი ძირითადი კომპონენტის მიხედვით - დისკუსია და პრეზენტაცია. რეკომენდაციის შესაბამისად, დაზუსტდა სადოქტორო პროგრამაზე მიღების პროცედურებში და შეფასების სისტემაში ზეპირი გამოცდის შეფასების კომპონენტები. კერძოდ, გამოცდა ფასდება ორი ძირითადი კომპონენტის მიხედვით - დისკუსია და პრეზენტაცია. |
| რჩევა <sup>21</sup> IV        | -  |
| შეფასება                      | -  |
| მტკიცებულებ(ებ)ა              | <ul style="list-style-type: none"> <li>• ES PhD კურიკულუმი (დანართი 2);</li> <li>• საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების დოკუმენტი (დანართი 3);</li> </ul>  |

|                        |  |
|------------------------|--|
| სტანდარტის დასახელება  | 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა |
| კომპონენტის დასახელება | 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და   |

<sup>20</sup>საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

<sup>21</sup>საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)



|                              |  |
|------------------------------|--|
|                              | შინაარსი   |
| რეკომენდაცია V <sup>22</sup> | საგანმანათლებლო პროგრამის ცხრილში დაკორექტირდეს სადოქტორო ნაშრომის წარდგენის ვადები.   |
| შეფასება                     | რეკომენდაცია შესრულებულია.<br>უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით და მტკიცებულებების საფუძველზე ირკვევა, რომ უნივერსიტეტმა გაითვალისწინა აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაცია საგანმანათლებლო პროგრამის ცხრილში სადოქტორო ნაშრომის წარდგენის ვადების დაკორექტირების შესახებ, სადაც დაფიქსირებული იყო, რომ სტუდენტს სადოქტორო ნაშრომის წარდგენა შეუძლია მეშვიდე და შემდგომ სემესტრებში. რეკომენდაციის შესაბამისად ხარვეზი გასწორდა და პროგრამის სტრუქტურაში სადოქტორო ნაშრომის წარდგენის ვადაში მოინიშნა მეექვსე სემესტრშიც. |
| რჩევა <sup>23</sup> V        | -  |
| შეფასება                     | -  |
| მტკიცებულებ(ებ)ა             | <ul style="list-style-type: none"> <li>ES PhD კურიკულუმი (დანართი 2);</li> </ul>   |

|                               |  |
|-------------------------------|--|
| სტანდარტის დასახელება         | 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა   |
| კომპონენტის დასახელება        | 2.3. სასწავლო კურსი  |
| რეკომენდაცია VI <sup>24</sup> | სასწავლო კურსებში შედეგები ისე უნდა გაიწეროს, რომ შესაძლებელი იყოს აღწერილ მოქმედებაზე დაკვირვება, გაზომვა.  |
| შეფასება                      | რეკომენდაცია შესრულებულია.<br>უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით და მტკიცებულებების საფუძველზე ირკვევა, რომ უნივერსიტეტმა გაითვალისწინა აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაცია სასწავლო კურსების სწავლის შედეგების გაწერის შესახებ აღწერილ მოქმედებაზე |

<sup>22</sup>საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

<sup>23</sup>საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

<sup>24</sup>საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)



|                        |  |
|------------------------|--|
|                        | დაკვირვების, გაზომვის შესაძლებლობის მიზნით, რადგან სასწავლო კურსების სწავლის შედეგების ნაწილი არ იძლეოდა დაკვირვების, გაზომვის შესაძლებლობას, აღწერილი იყო სხვადასხვა დროში (მაგ. სტუდენტს აქვს კომპლექსური და სისტემური ცოდნა ..... იცის..... ეცოდინება ..... აქვს ცოდნა ..... ექნება ცოდნა ..... შეუძლია ..... შეძლებს აქვს მზაობა ..... განვითარებული აქვს ).<br>რეკომენდაციის შედეგად გადაიხედა სადოქტორო პროგრამის ფარგლებში არსებული სასწავლო კურსების სილაბუსებში მოცემული შედეგები და ჩამოყალიბდა უფრო გაზომვადი და შეფასებადი ფორმით. |
| რჩევა <sup>25</sup> VI | -  |
| შეფასება               | -  |
| მტკიცებულებ(ებ)ა       | <ul style="list-style-type: none"> <li>სასწავლო კურსების სილაბუსები: „მონაცემთა მოდელირება და კომპიუტერული ანალიზი“, „მონაცემთა სივრცითი ანალიზი და გამოსახვა“, „სტატისტიკა დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებებისთვის“, „სამეცნიერო წერა დოქტორანტებისთვის“ (დანართი 4);</li> </ul>  |

|                                |  |
|--------------------------------|--|
| სტანდარტის დასახელება          | 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა   |
| კომპონენტის დასახელება         | 2.6. სტუდენტების შეფასება  |
| რეკომენდაცია VII <sup>26</sup> | რეკომენდებულია, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარი №3 ბრძანების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის და 1 მუხლის „მ“ პუნქტის თანახმად, ყველა სასწავლო კურსის შეფასების მეთოდი/მეთოდები მოიცავდეს გაზომვად კრიტერიუმებსა და დეტალურ რუბრიკებს, რათა სტუდენტის შეფასების პროცესში მაქსიმალურად იყოს დაცული ობიექტურობა, სანდოობა, ვალიდურობა და გამჭვირვალობა. |
| შეფასება                       | რეკომენდაცია შესრულებულია.<br>უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით და  |

<sup>25</sup>საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

<sup>26</sup>საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)



|                         |   |
|-------------------------|---|
|                         | მტკიცებულებების საფუძველზე ირკვევა, რომ უნივერსიტეტმა გაითვალისწინა აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციასასწავლო კურსებში შეფასების მეთოდოლოგიის გადახედვის შესახებ.<br>რეკომენდაციის შესაბამისად, მოხდა პროგრამის ფარგლებში არსებული სასწავლო კურსების სილაბუსებში შეფასების კრიტერიუმების და რუბრიკების გადახედვა და დეტალიზაცია. |
| რჩევა <sup>27</sup> VII | -   |
| შეფასება                | -   |
| მტკიცებულებ(ებ)ა        | <ul style="list-style-type: none"> <li>სასწავლო კურსების სილაბუსები: „მონაცემთა მოდელირება და კომპიუტერული ანალიზი“, „მონაცემთა სივრცითი ანალიზი და გამოსახვა“, „სტატისტიკა დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებებისთვის“, „სამეცნიერო წერა დოქტორანტებისთვის“ (დანართი 4);</li> </ul>   |

|                                 |  |
|---------------------------------|--|
| სტანდარტის დასახელება           | 5.სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები   |
| კომპონენტის დასახელება          | 5.3 პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება  |
| რეკომენდაცია VIII <sup>28</sup> | რეკომენდებულია ამოქმედდეს შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმები სწავლის შედეგების მიღწევადობის უზრუნველსაყოფად.   |
| შეფასება                        | <p>რეკომენდაციის სრულად შესრულება უკავშირდება დროში განგრძობად საქმიანობას, თუმცა დაწესებულების 1-წლიანი ანგარიშში მოყვანილი არგუმენტები ადასტურებენ დადებით ტენდენციას მისი შესრულებისათვის.</p> <p>ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა 2022 წლის გაზაფხულზე განაახლა სადოქტორო პროგრამების შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელიც ცალკე თავების სახით მოიცავს ასევე შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმებს სწავლის შედეგების მიღწევადობის უზრუნველსაყოფად.</p> <p>ესენია: დოქტორანტების კვლევის შედეგები, კურსდამთავრებულების კვლევის შედეგები, სამიზნე ნიშნულების ანალიზი, დამსაქმებელთა კვლევის შედეგები. დოკუმენტის მიხედვით განსაზღვრულია ჩასატარებელი აქტივობების პერიოდულობა.</p> <p>როგორც თვითშეფასებიდან ირკვევა, ამ ეტაპზე მიმ-</p> |

<sup>27</sup>საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

<sup>28</sup>საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)



|                          |   |
|--------------------------|---|
|                          | დინარეობს დოქტორანტების და კურსდამთავრებულთა გამოკითხვა.              |
| რჩევა <sup>29</sup> VIII | -   |
| შეფასება                 | -   |
| მტკიცებულებ(ებ)ა         | • სადოქტორო პროგრამის შიდა თვითშეფასების ანგარიშის ფორმა (დანართი 5). |

თანდართული დოკუმენტაცია<sup>30</sup>

1. სასწავლო პროგრამის სამიზნე ნიშნულების რუკა;
2. სადოქტორო პროგრამის დოკუმენტი;
3. საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების დოკუმენტი;
4. სასწავლო კურსების სილაბუსები:  
„მონაცემთა მოდელირება და კომპიუტერული ანალიზი“,  
„მონაცემთა სივრცითი ანალიზი და გამოსახვა“,  
„სტატისტიკა დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებებისთვის“,  
„სამეცნიერო წერა დოქტორანტებისთვის“;
5. სადოქტორო პროგრამის შიდა თვითშეფასების ანგარიშის ფორმა.

ექსპერტის ხელმოწერა

<sup>29</sup>საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

<sup>30</sup>თითოეული დოკუმენტის დასახელება და ფურცლების რაოდენობა